

ბიოგრაფია

გიორგი სანტურიანი

მე, გიორგი სანტურიანი დავიბადე 1990 წლის 11 ივლისს ქ. თბილისში. 2007 წელს დავასრულე ქუთაისის №7 საჯარო სკოლა. 2007-2011 წლებში ვსწავლობდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. 2013-2015 წლებში ვსწავლობდი ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საჯარო სამართლის მიმართულებაზე.

2011-2018 წლებში დასაქმებული ვიყავი ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, კერძოდ, სხვადასხვა პერიოდში მეკავა ქუთაისის ფილიალის პროექტის იურისტის, ადვოკატის, თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო 2015-2018 წლებში ფილიალის თავმჯდომარის პოზიცია.

2018 წლიდან ვმუშაობ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. თავდაპირველად, დასაქმებული ვიყავი ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის და საარჩევნო დავების განყოფილებაში სხვადასხვა პოზიციაზე. 2020 წლიდან ვარ ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

2012-2018 წლებში ვიყავი ადვოკატთა ასოციაციის წევრი. შესაბამისად, ჩაბარებული მაქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები საერთო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზაციით.

პატივისცემით,

გიორგი სანტურიანი



06.04.21.